წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენცია

სტრასბურგი, 26.XI.1987

ქვემორე ხელმომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები,

ითვალისწინებენ რა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის დებულებებს;

იხსენებენ რა, რომ იმავე კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით „არავინ არ შეიძლება გახდეს წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის მსხვერპლი„;

დარწმუნდნენ რა იმაში, რომ თავისუფლება აღკვეთილ პირთა დაცვა წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯისაგან შეიძლება გაძლიერდეს ვიზიტებზე დაფუძნებული პრევენციული ხასიათის არასასამართლო საშუალებებით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I

მუხლი 1

დაარსებულ იქნას წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტი (შემდგომში „კომიტეტი„). ვიზიტების საშუალებით კომიტეტი შეამოწმებს მოპყრობას თავისუფლება აღკვეთილ პირთა მიმართ, აუცილებლობის შემთხვევაში, ამგვარი პირების დაცვის გასაძლიერებლად წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯისაგან.

მუხლი 2

თითოეული მხარე დაუშვებს ამ კონვენციის შესაბამისად ვიზიტების განხორციელებას მის იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ადგილას, სადაც პირებს აღკვეთილი აქვთ თავისუფლება სახელმწიფო ხელისუფლების მიერ.

მუხლი 3

ამ კონვენციის გამოყენებისას, კომიტეტი და შესაბამისი მხარის კომპეტენტური ეროვნული ორგანოები ითანამშრომლებენ ერთმანეთთან.

თავი II

მუხლი 4

1. კომიტეტის წევრთა რაოდენობა თანაბარია მხარეთა რაოდენობისა.

2. კომიტეტის წევრთა შერჩევა მოხდება მაღალი მორალური თვისებების მქონე პირთა რიგიდან, რომლებიც ცნობილნი არიან თავიანთი კომპეტენტურობით ადამიანის უფლებათა დარგში ან აქვთ ამ კონვენციით მოცემულ სფეროში მუშაობის პროფესიული გამოცდილება.

3. კომიტეტის ორი წევრი არ შეიძლება იყოს ერთი და იგივე სახელმწიფოს მოქალაქე.

4. წევრები იმსახურებენ თავიანთი პირადი უფლებაუნარიანობით, იქნებიან დამოუკიდებელნი და თავისუფალნი, რათა ეფექტურად იმსახურონ კომიტეტში.

მუხლი 5

1. კომიტეტის წევრების არჩევა მოხდება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ ხმათა აბსოლიტური უმრავლესობით ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ასამბლეის მიერ შედგენილ კანდიდატთა სიიდან; საკონსულტაციო ასამბლეაში მხარეთა თითოეული ეროვნული დელეგაცია წარადგენს სამ კანდიდატს, რომელთაგანაც არანაკლებ ორი უნდა იყოს მისი მოქალაქე.

2. იგივე პროცედურა უნდა იქნას გავლილი შემდგომში ვაკანსიების შესავსებად.

3. კომიტეტის წევრების არჩევა მოხდება ოთხი წლის ვადით. შესაძლებელია მათი ხელახლა არჩევა მხოლოდ ერთხელ. ამასთან, პირველ არჩევნებზე არჩეული წევრებიდან სამი წევრის უფლებამოსილების ვადა ამოიწურება არჩევიდან მეორე წლის ბოლოს. ის წევრები, რომელთა უფლებამოსილების ვადა უნდა ამოიწუროს პირველი ორი წლის ბოლოს, შეირჩევიან ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ პირველი არჩევნების შემდეგ წილისყრის დაუყოვნებლივ ჩატარებით.

მუხლი 6

1. კომიტეტის შეკრება მოხდება კოლეგიალურად. კვორუმი თანაბარია კომიტეტის წევრების უმრავლესობისა. კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღება მოხდება დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების დაცვით.

2. კომიტეტი შეიმუშავებს თავის რეგლამენტს.

3. კომიტეტისათვის სამდივნოს უზრუნველყოფს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი.

თავი III

მუხლი 7

1. კომიტეტი ორგანიზებას გაუკეთებს ვიზიტებს მე-2 მუხლით განსაზღვრულ ადგილებში. პერიოდული ვიზიტების გარდა, კომიტეტს შეუძლია ამგვარი ვიზიტების ორგანიზება, თუკი ამას მოითხოვენ შემთხვევის კონკრეტული გარემოებანი.

2. როგორც წესი, ვიზიტების განხორციელება მოხდება კომიტეტის არანაკლებ ორი წევრის მიერ. კომიტეტს, თუკი იგი საჭიროდ ჩათვლის, შეიძლება დაეხმარონ ექსპერტები და თარჯიმნები.

მუხლი 8

1. კომიტეტი შეატყობინებს შესაბამისი მხარის მთავრობას მის განზრახვაზე ვიზიტის განხორციელების შესახებ. ამგვარი შეტყობინების შემდეგ, მას შეუძლია ნებისმიერ დროს მოინახულოს მე-2 მუხლით განსაზღვრული ნებისმიერი ადგილი.

2. მხარე უზრუნველყოფს კომიტეტს შემდეგი საშუალებებით კომიტეტის ამოცანების განსახორციელებლად;

ა) მის ტერიტორიაზე შესვლა და შეუზღუდავი მგზავრობის უფლება;
ბ) მთლიანი ინფორმაცია იმ ადგილების შესახებ, სადაც დაკავებულნი არიან თავისუფლება აღკვეთილი პირები;
გ) ნებისმიერი ადგილის შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა, სადაც პირებს აღკვეთილი აქვთ თავისუფლება, ამგვარ ადგილებში შეუზღუდავი გადაადგილების უფლების ჩათვლით;
დ) მხარისათვის ხელმისაწვდომი სხვა ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია კომიტეტისათვის მისი ამოცანების შესასრულებლად.

ამგვარი ინფორმაციის მოძიებისას კომიტეტი გაითვალისწინებს ეროვნული სამართლისა და პროფესიული ეთიკის მოქმედ ნორმებს.

3. კომიტეტს შეუძლია თავისუფლება აღკვეთილ პირთა კერძო ინტერვიუიტრბა.

4. კომიტეტს შეუძლია თავისუფლად დაუკავშირდეს ნებისმიერ პირს, რომელსაც მისი აზრით, შეუძლია სათანადო ინფორმაციის მოწოდება.

5. აუცილებლობის შემთხვევაში, კომიტეტს შეუძლია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს შესაბამისი მხარის კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოებზე დამკვირვებლებს.

მუხლი 9

1. გამონაკლისის შემთხვევებში შესაბამისი მხარის ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ გააკეთონ წარდგინება კომიტეტის მიერ შემოთავაზებული ვიზიტის დროს ან კონკრეტული ადგილის წინააღმდეგ. ამგვარი წარდგინების გაკეთება დასაშვებია მხოლოდ ეროვნული თავდაცვის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სერიოზული უწესრიგობის, პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის საფუძველზე ან თუკი მიმდინარეობს სერიოზულ დანაშაულთან დაკავშირებული აუცილებელი დაკითხვა.

2. ამგვარი წარდგინების მიღების შემდეგ კომიტეტი და მხარე დაუყოვნებლივ დაიწყებენ კონსულტაციებს სიტუაციის გასარკვევად და იმ ზომებზე შეათანხმების მისაღწევად, რომლებიც საშუალებას მისცემენ კომიტეტს სწრაფად განახორციელოს მისი ფუნქციები. ამგავრი შეთანხმებები შეიძლება ითვალისწინებდნენ ნებისმიერი პირის სხვა ადგილას გადაყვანაას, რომლის მონახულებაც სურს კომიტეტს. ვიზიტის განხორციელებამდე მხარე მიაწვდის ინფორმაციას კომიტეტის ნებისმიერი შესაბამისი პირის შესახებ.

მუხლი 10

1. თითოეული ვიზიტის შემდეგ კომიტეტი შეადგენს მოხსენებას ვიზიტის დროს მოკლებული ფაქტების შესახებ, შესაბამისი მხარის მიერ წარმოდგენილი დაკვირვების მხედველობაში მიღებით. იგი გასცემს მხარეს მის მოხსენებას, რომელიც უნდა შეიცავდეს მის მიერ აუცილებლად მიჩნეულ რეკომენდაციებს. კომიტეტს შეუძლია მხარესთან კონსულტაციების გამართვა, აუცილებლობის შემთხვავაში, აღკვეთილ პირთა დაცვის გაუმჯობესების ზომების შეთავაზებისას.

2. თუკი მხარე არ ითანამშრომლებს ან უარს იტყვის სიტუაციის გაუმჯობესებაზე კომიტეტის რეკომენდაციათა შესაბამისად, მას შემდეგ რაც მხარეს ექნება შესაძლებლობა განაცხადოს მისი მოსაზრებების შესახებ, კომიტეტს შეუძლია ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით მიიღოს გადაწყვეტილება ამ საკითხზე საჯარო განცხადების გაკეთების შესახებ.

მუხლი 11

1. კომიტეტის მიერ შეკრებილი ინფორმაცია ვიზიტთან, მის მოხსენებასთან და შესაბამის მხარესთან გამართულ კონსულტაციებთან დაკავშირებით კომფიდენციალური იქნება.

2. კომიტეტი გამოაქვეყნებს მის მოხსენებას შესაბამისი მხარის ნებისმიერ კომენტარებთან ერთად, მხარის მიერ მოთხოვნილ ნებისმიერ დროს.

3. ამასთან, დაუშვებელია პიროვნული მონაცემების გამოქვეყნება შესაბამისი პირის თანხმობის გარეშე.

მუხლი 12

მე-11 მუხლში დადგენილი კონფიდენციალურობის წესების დაცვით, კომიტეტი ყოველწლიურად წარუდგენს მინისტრთა კომიტეტს გენერალურ მოხსენებას მისი საქმიანობის შესახებ, რომელიც გადაეცემა საკონსულტაციო ასამბლეას და ხელმისაწვდომი გახდება საზოგადოებისათვის.

მუხლი 13

კომიტეტის წევრებს, ექსპერტებსა და სხვა პირებს, რომლებიც ეხმარებიან კომიტეტს, მოეთხოვებათ მათი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში და მას შემდეგ დაიცვან იმ ფაქტებისა და ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელსაც ისინი გაეცნენ მათი ფუნქციების შესრულებისას.

მუხლი 14

1. იმ პირების სახელები, რომლებიც ეხმარებიან კომიტეტს, მოხსენებული უნდა იქნან მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ შეტყობინებებში.

2. ექსპერტები იმოქმედებენ კომიტეტის ინსტრუქციების მიხედვით და მისი უფლებამოსილებით. მათ უნდა ჰქონდეთ ამ კონვენციით მოცული სფეროს ცოდნა და გამოცდილება და მათ ეკისრებათ კომიტეტის წევრთათვის დადგენილი დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და თავისუფლების ვალდებულებები.

3. გამონაკლისის შემთხვევაში, მხარეს შეუძლია განაცხადოს, რომ ექსპერტს ან სხვა პირს, რომელიც ეხმარება კომიტეტს, არ მიეცემა უფლება მონაწილეობა მიიღოს ვიზიტში, რომელიც განხორციელდება მის იურისდიქციაში შემავალ ადგილას.

თავი IV

მუხლი 15

თითოეული მხარე აცნობებს კომიტეტს ხელისუფლების იმ ორგანოს სახელსა და მისამართს, რომელიც უფლებამოსილი იქნება მიიღოს მთავრობისადმი გაგზავნილი შეტყობინება და ასევე, იმ საკონტაქტო პირის სახელსა და მისამართს, რომელიც მან შეიძლება დანიშნოს.

მუხლი 16

კომიტეტი, მისი წევრები და მე-7 მუხლის მე-2 პუნქტში მოხსენიებული ექსპერტები ისარგებლებენ ამ კონვენციის დამატებით განსაზღვრული პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით.

მუხლი 17

ეს კონვენცია ზიანს არ მიაყენებს შიდა სამართლის ან ნებისმიერი საერთაშორისო ხელშეკრულებების დებულებებს, რომლებითაც უზრუნველყოფილია თავისუფლება აღკვეთილ პირთა უფრო დიდი დაცვა.

არაფერი, გათვალისწინებული ამ კონვენციით, არ შეიძლება ახსნა-განმარტებულ იქნას იმგვარად, რომ იზღუდებოდეს ან ირღვეოდეს ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის ორგანოთა კომპეტენცია ან მხარეთა მიერ ხსენებული კონვენციით აღებული ვალდებულებანი.

კომიტეტი არ მოინახულებს იმ ადგილებს სადაც უფლებადამცავი ორგანოების ან წითელი ჯვრის საერტაშორისო ფედერაციის წარმომადგენლები ან დელეგატები ახორციელებენ ეფექტურ ვიზიტებს რეგულარულ საფუძველზე 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციისა და მისი 1977 წლის 8 ივნისის დამატებითი ოქმის ძალით.

თავი V

მუხლი 18

ეს კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებისათვის. ის ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას. სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელები შესანახად ბარდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

მუხლი 19

1. ეს კონვენცია ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამოწურვას თარიღიდან, როდესაც ევროპის საბჭოს შვიდი წევრი სახელმწიფო მე-18 მუხლის დებულებათა შესაბამისად განაცხადებს თავის თანხმობას იყოს ვალდებული კონვენციით.

2. ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომში გამოთქვამს თავის თანხმობას იყოს ვალდებული კონვენციით, ის ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოყვება სამთვიანი ვადის ამოწურვას სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელების შესანახად ჩაბარების თარიღიდან.

მუხლი 20

1. ნებისმიერ სახელმწიფოს, ხელმოწერის ან სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის ჩაბარების დროს, შეუძლია განსაზღვროს ის ტერიტორია ან ტერიტორიები, რომელთა მიმართაც მოხდება ამ კონვენციის გამოყენება.

2. ნებისმიერ სახელმწიფოს მოგვიანებით ნებისმიერ დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული დეკლარაციის მეშვეობით, შეუძლია გაავრცელოს ამ კონვენციის გამოყენება დეკლარაციაში მითითებულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე. ამგვარი ტერიტორიის მიმართ კონვენცია ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამოწურვას გენერალური მდივნის მიერ ამგვარი დეკლარაციის მიღების თარიღიდან.

3. ნებისმიერი დეკლარაცია გაკეთებული წინა ორი პუნქტის მიხედვით, ამგვარ დეკლარაციაში მითითებული ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ, შეიძლება უკან იქნას გამოთხოვილი გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შეტყობინების საშუალებით. უკან გამოთხოვა ძალაში შედის იმ ტვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამოწურვას გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან.

მუხლი 21

დაუშვებელია დათქმის გაკეთება ამ კონვენციის დებულებათა მიმართ.

მუხლი 22

1. ნებისმიერ მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია დენონსაცია გაუკეთოსამ კონვენციას ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე შეტყობინების გაგზავნის გზით.

2. ამგვარი დენონსაცია ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს თორმეტთვიანი ვადის ამოწურვას გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან.

მუხლი 23

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანიშეატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს:

ა) ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
ბ) ნებისმიერი სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების შესახებ;
გ) მე-19 და მე-20 მუხლების შესაბამისად ამ კონვენციის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ;
დ) ნებისმიერი სხვა აქტის, სეტყობინების ან კომუნიკაციის შესახებ, რომელიც შეხებაშია ამ კონვენციასთან, გარდა იმ ღონისძიებისა, რომელთა განხორციელებაც მოხდება მე-8 და მე-10 მუხლლების შესაბამისად.

ამის დასტურად, ქვემორე ხელმომწერებმა, რომლებიც სათანადოდ იყვნენ რწმუნებულნი, ხელი მოაწერეს ამ კონვენციას.

შესრულებულია სტრასბურგში 1987 წლის 26 ნოემბერს ინგლისურსა და ფრანგულ ენებზე; ორივე ტექსტი არის თანაბრად აუთენტური შედგენილი თითო ეგზემპლარად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი გადასცემს დამოწმებულ ასლებს ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს.

დამატება

პრივილეგიები და იმუნიტეტები

(მუხლი 16)

1. ამ დამატების მიზნისათვის, მიიჩნევა, რომ კომიტეტის წევრთათვის განსაზღვრული დებულებები გამოსიყენება მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით მოხსენიებული ექსპერტების მიმართაც.

2. კომიტეტის წევრები თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას და თავიანთი ფუნქციების განსაქხორციელებლად მგზავრობის დროს, ისარგებლებენ შემდეგი პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით:

ა) იმუნიტეტი პირადი დაპატიმრებისა და დაკავების, მათ პირად ბარგზე ყადაღის დადების, წარმოთქმული და დაწერილი სიტყვებისა და მათი უფლებამოსილების განხორციელებისას შესრულებული სხვა ქმედებების გამო სამართალწარმოებისაგან; იმუნიტეტი მათ წინააღმდეგ ნებისმიერი სახის სამართალწარმოებისაგან;

ბ) მათი საცხოვრებელი ქვეყნიდან, ასევე იმ ქვეყნიდან, სადაც მათ უნდა განახორციელონ თავიანთი ფუნქციები, გამოსვლის ან დაბრუნებისას გადაადგილების თავისუფლებაზე შეზღუდვებისაგან გათავისუფლება; უცხო სახელმწიფოს რეგისტრაციისაგან გათავისუფლება იმ ქვეყანაში, სადაც მათ უნდა განახორციელონ ვიზიტი ან რომელიც მათ ტრანზიტით უნდა გაიარონ თავიანთი ფუნქციების განსახორციელებლად.

3. მათი ფუნქციების განსახორციელებლად მოგზაურობისას კომიტეტის წევრები საბაჟო და საგალუტო კონტროლის მიმართ ისარგებლებენ:

ა) თავიანთი მთავრობის მიერ დადგენილი იმავე შეღავათებით, რომლებიც ენიჭებათ უფროსი თანამდებობის პირებს, რომლებიც მგზავრობენ საზღვარგარეთ დროებითი სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად.
ბ) სხვა მხარეთა მთავრობების მიერ დადგენილი შეღავათებით, რომლებიც ენიჭებათ უცხოეთის მთავრობათა წარმომადგენლებს, რომლებიც იმყოფებიან ქვეყანაში დროებითი სამსახურებრივი მ,ოვალეობების შესასრულებლად.

4. კომიტეტის დოკუმენტაცია და მასალები, იმ ზომით, რითაც ისინი ეხებიან კომიტეტის საქმეებს, ხელშეუხებელნი არიან. კომიტეტის ოფიციალური კორესპონდენცია და სხვა ოფიციალური კომუნიკაციები არ შეიძლება დაკავდნენ ან დაექვემდებარონ ცენზურას.

5. იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას კომიტეტის წევრების სიტყვის სრული თავისუფლება და სრული დამოუკიდებლობა უფლებამოვალეობათა განხორციელებისას, ისინი გაავრძელებენსარგებლობას იმუნიტეტით ნებისმიერი სახის სამართალწარმოებისაგან წარმოთქმული და დაწერილი სიტყვების და მათ მიერ უფლებამოვალეობათა შესრულების დროს განხორციელებული ქმედების გამო, იმისდა მიუხედავად, არიან თუ არა შესაბამისი პირები კვლავ დაკავებულნი ამგვარი მოვალეობების განხორციელებით.

6. პრივილეგიები და იმუნიტეტები კომიტეტის წევრებს ენიჭებათ არა მათი პირადი სარგებლობისათვის, არამედ იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას მათ მიერ ფუნქციების დამოუკიდებლად განხორციელება. მხოლოდ კომიტეტი იქნება უფლებამოსილი მოუხსნას თავის წევრებს იმუნიტეტი; მას აქვს არა მხოლოდ უფლება, არამედ მისი მოვალეობაა მოუხსნას მის რომელიმე წევრს იმუნიტეტი ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც, მისი აზრით, იმუნიტეტი ხელს შეუშლისმართმსაჯულების განხორციელებას და როდესაც იგი შეიძლება მოიხსნას იმ მიზნისათვის ზიანის მიუყენებლად, რომლისთვისაც წევრს მინიჭებული ჰქონდა იმუნიტეტი.

წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმი No. 1

სტრასბურგი 4.XI.1993

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს1987 წლის 26 ნოემბერს ხელმოწერილ წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ევროპული კონვენციის (შემდგომში „კონვენცია„)ამ ოქმს,

ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის საბჭოს არა წევრ სახელმწიფოებს საშუალება უნდა მიეცეთ მიუერთდნენ კონვენციას მინისტრთა კომიტეტის მოწვევით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტს დაემატოს შემდეგი რედაქციის ქვეპუნქტი:

"როდესაც არჩეული უნდა იქნას კომიტეტის წევრი ევროპის საბჭოს არაწევრი სახელმწიფოებიდან, საკონსულტაციო ასამბლეის ბიურო სთხოვს ამ სახელმწიფოს პარლამენტს წარმოადგინოს სამი კანდიდატურა, რომელთაგან სულ მცირე ორი მისი მოქალაქე უნდა იყოს. კომიტეტის მიერ წევრის არჩევა მოხდება შესაბამის მხარესთან კონსულტაციების გამართვის შემდეგ."

მუხლი 2

კონვენციის მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მე-11 მუხლით დადგენილი კონფიდენციალურობის წესების დაცვით, კომიტეტი ყოველწლიურად წარუდგენს მინისტრთა კომიტეტს გენერალურ მოხსენებას მისი საქმიანობის შესახებ, რომელიც გადაეცემა საკონსულტაციო ასამბლეას და ევროპის საბჭოს ყველა არაწევრ სახელმწიფოს, რომელიც არის კონვენციის მხარე; მოხსენება გამოქვეყნდება„.

მუხლი 3

კონვენციის მე-18 მუხლის ტექსტი გახდეს ამ მუხლის 1-ლი პუნქტი და მას დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-2 პუნქტი:

"2. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შეუძლია მოიწვიოს ევროპის საბჭოს არაწევრი სახელმწიფო, რათა იგი მიუერთდეს კონვენციას."

მუხლი 4

კონვენციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტში ამოღებულ იქნას სიტყვა "წევრი" და სიტყვები "ან დამტკიცება" შეიცვლება სიტყვებით "დამტკიცება ან მიერთება."

მუხლი 5

კონვენციის მე-20 მუხლის 1-ლ პუნქტში სიტყვები "ან დამტკიცება" შეიცვალოს სიტყვებით "დამტკიცება ან მიერთება."

მუხლი 6

კონვენციის 23-ე მუხლის შესავალი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი აცნობებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს და არაწევრ სახელმწიფოებს, რომლებიც არიან ამ კონვენციის მხარეები:"

კონვენციის 23ბ მუხლში სიტყვები "ან დამტკიცება" შეიცვლება სიტყვებით "დამტკიცება ან მიერთება."

მუხლი 7

1. ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას და რომლებსაც შეუძლიათ განაცხადონ თავიანთი თანხმობა იყვნენ ვალდებულნი ოქმით:

ა) ხელმოწერის საშუალებით რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების მიმართ დათქმის გარეშე; ან
ბ) ხელმოწერის საშუალებით, რომელიც ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას და რომელსაც უნდა მოსდევდეს რატიფიკაცია, მიღება ან დამტკიცება.

2. სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელები შესანახად ბარდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

მუხლი 8

ეს ოქმი ძალაში შედის ამ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამოწურვას თარიღიდან, როდესაც კონვენციის ყველა მხარე განაცხადებს თავის თანხმობას იყოს ვალდებული ოქმით მე-7 მუხლის დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 9

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეატყობინებსევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს:

ა) ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
ბ) ნებისმიერი სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების შესახებ;
გ) მე-8 მუხლის შესაბამისად ამ ოქმის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ;
დ) ნებისმიერი სხვა ქმედების, შეტყობინების ან კომუნიკაციის შესახებ, რომელიც შეხებაშია ამ ოქმთან.

ამის დასტურად ქვემორე ხელმომწერებმა, რომლებიც სათანადოდ იყვნენ რწმუნებულნი, ხელი მოაწერეს ამ ოქმს.

შესრულებულია სტრასბურგში 1993 წლის ნოემბრის მე-4 დღეს ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, ორივე ტექსტი არის თანაბრად აუთენტური შედგენილი თითო ეგზემპლარად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი გადასცემს დამოწმებულ ასლებს ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს.

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს:

ა) ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
ბ) ნებისმიერი სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების შესახებ;
გ) მე-3 მუხლის შესაბამისად ამ ოქმის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ;
დ) ნებისმიერი სხვა აქტის, შეტყობინების ან კომუნიკაციის შესახებ, რომელიც შეხებაშია ამ ოქმთან.

ამის დასტურად ქვემორე ხელმომწერებმა, რომლებიც სათანადოდ იყვნენ რწმუნებულნი, ხელი მოაწერეს ამ ოქმს.

შესრულებულია სტრასბურგში 1993 წლის ნოემბრის მე-4 დღეს ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, ორივე ტექსტი არის თანაბრად აუთენტური შედგენილი თითო ეგზემპლარად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი გადასცემს დამოწმებულ ასლებს ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს.

წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენციის ოქმი № 2

სტრასბურგი, 4.XI.1993

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს 1987 წლის 26 ნოემბერს ხელმოწერილი წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ევროპული კონვენციის (შემდგომში „კონვენცია") ამ ოქმს,

დარწმუნდნენ რა, რომ სასურველია წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (შემდგომში „კომიტეტის") წევრებს მიეცეთ ორჯერ ხელახლა არჩევის უფლება;

ასევე ითვალისწინებენ რა კომიტეტის შემადგენლობის სათანადოდ განახლების უზრუნველყოფის აუცილებლობას,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

1. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მეორე წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ისინი შეიძლება ორჯერ იქნან ხელახლა არჩეულნი."

2. კონვენციის მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-4 და მე-5 პუნქტები:

3. იმისათვის, რომ მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი კომიტეტის შემადგენლობის ნახევრის განახლება ყოველ ორ წელიწადში, შემდგომი არჩევნების ჩატარებამდე მინისტრთა კომიტეტს შეუძლია გადაწყვიტოს, რომ ერთი ან მეტი ასარჩევი წევრის უფლებამოსილების ვადა იყოს არა ოთხი, არამედ არაუმეტეს ექვსი და არანაკლებ ორი წელი.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე იქნება ერთზე მეტი უფლებამოსილების ვადა და მინისტრთა კომიტეტი გამოიყენებს წინა პუნქტს, „უფლებამოსილების ვადის დადგენა მოხდება გენერალური მდივნის მიერ არჩევნების შემდეგ წილისყრის დაუყოვნებლივ ჩატარებით.

მუხლი 2

1. ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას და რომლებსაც შეუძლიათ განაცხადონ თავიანთი თანხმობა იყვნენ ვალდებულნი ოქმით:

ა) ხელმოწერის საშუალებით რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების მიმართ დათქმების გარეშე; ან
ბ) ხელმოწერის საშუალებით, რომელიც ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას და რომელსაც უნდა მოსდევდეს რატიფიკაცია, მიღება ან დამტკიცება.

2. სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელები შესანახად ბარდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

მუხლი 3

ეს ოქმი ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელის მოსდევს სამთვიანი ვადის ამოწურვას თარიღიდან, როდესაც კონვენციის ყველა მხარე განაცხადებს თავის თანხმობას იყოს ვალდებული ოქმით მე-2 მუხლის დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 4

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს:

ა) ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
ბ) ნებისმიერი სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების შესახებ;
გ) მე-3 მუხლის შესაბამისად ამ ოქმის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ;
დ) ნებისმიერი სხვა აქტის, შეტყობინების ან კომუნიკაციის შესახებ, რომელიც შეხებაშია ამ ოქმთან.

ამის დასტურად ქვემორე ხელმომწერებმა, რომლებიც სათანადოდ იყვნენ რწმუნებულნი, ხელი მოაწერეს ამ ოქმს.

შესრულებულია სტრასბურგში 1993 წლის ნოემბრის მე-4 დღეს ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, ორივე ტექსტი არის თანაბრად აუთენტური შედგენილი თითო ეგზემპლარად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი გადასცემს დამოწმებულ ასლებს ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს.